

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 3

ქ. დმანისი

28 მარტი 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გომეზი
4. ილია სარსევანიძე
5. გამლექტ ისმაილოვი
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. შალვა ღამბარაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. მურაზი აბრამიშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. გუმბათ იუსუბოვი
17. ნატიგ ოვჩიევი
18. თეიმურაზ აფრასიძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ლია მურჯიკნელი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი , საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 25

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი:

1	დადგენილება: „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	ლ.მურჯიკნელი
2	განკარგულება: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების გეგმის ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ	მომხსენებელი:	ლ.მურჯიკნელი
3	დადგენილება: დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ	მომხსენებელი:	გ. გრიგალაშვილი
4	განკარგულება: დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების და სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების განსაზღვრის და გადახდის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების შესახებ	მომხსენებელი:	გ. გრიგალაშვილი
5	განკარგულება: დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ	მომხსენებელი:	ნ. სამადაშვილი
6	განკარგულება: „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 აგვისტოს Nგ-109.109222132 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	ნ. სამადაშვილი
7	განკარგულება: სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ	მომხსენებელი:	ნ. სამადაშვილი
8	განკარგულება: „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	თ. ციხელაშვილი
9	განკარგულება: „დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 -2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის № გ-109. 109240254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	მომხსენებელი:	თ. ციხელაშვილი

1.მომხსენებელი : ლია მურჯიკნელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის #56 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს 2024 წელს 816,5 ათასი ლარის ნაცვლად გამოეყო 719,8 ათასი ლარი. შემცირებამ შეადგინა 96,6 ათასი ლარი. ასევე, 2023 წლის დეკემბრის თვის ასანაზღაურებლად, 119,3 ათასი ლარის ნაცვლად გამოეყო 100,0 ათასი ლარი. შემცირებამ შეადგინა 19,3 ათასი ლარი. აღნიშნული შემცირებული თანხა, ჯამში 115,9 ათასი ლარის ოდენობით, ასახული იქნება ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი 935,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრება 819,9 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი); საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის #322 „მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს 2024 წელს გამოეყო 25,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახული იქნება შემდეგნაირად:

- 24,0 ათასი ლარი აისახება ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში (სხვა დონის ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნობრივი ტრანსფერი);
- 1,0 ათასი ლარი აისახება ორგანიზაციული კოდი 06_01_01 „ა(ა)იპ დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს „სუბსიდია“-ს მუხლში (სხვა დონის ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნობრივი ტრანსფერი);

„საქართველოს კანონი საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესაბამისად, ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას ორგანიზაციულ კოდი 06_01_01 „ა(ა)იპ დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს „სუბსიდია“-ს მუხლში 59,9 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვრება 179,2 ათასი ლარის ოდენობით (სხვა დონის ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნობრივი ტრანსფერი);

ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის პროგრამის მხარდაჭერის ღონისძიებები“-ს „არაფინსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში გადატანილი იქნას 444,9 ათასი ლარი, აქედან: 162,0 ათასი ლარი სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი, ხოლო 282,9 ათასი ლარი საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე;

ორგანიზაციული კოდი 03_01_01 „ა(ა)იპ დმანისის სერვის ცენტრი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას ამავე კოდის „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში 4,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 4,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 04_02_01 „ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას 9,0 ათასი ლარი შემდეგ მუხლებში:

- 2,8 ათასი ლარი - ამავე კოდის „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 2,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 6,2 ათასი ლარი - ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 9,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 05_01_01 „ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას 5,4 ათასი ლარი შემდეგ მუხლებში:

- 4,7 ათასი ლარი - ამავე კოდის „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 4,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 0,7 ათასი ლარი - ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 25,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ორგანიზაციული კოდი 06_02_05 „ა(ა)იპ დმანისის სათნოების სახლი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში 2,2 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 4,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 30.952,6 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : ლია მურჯიკნელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების გეგმის ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში 2022 წლის 18 ნოემბრის N108.1082232217 ბრძანებით დამტკიცებული, 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის და მასში 2023 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად,

დმანისის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ გამოცხადდა 81 ელექტრონული ტენდერი საერთო ღირებულებით 13004001 (ცამეტი მილიონ ოთხი ათას ერთი) ლარი. 9693912 (ცხრა მილიონ ექვსას ოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაას თორმეტი) ლარის ღირებულების 59 ელექტრონული ტენდერი შედგა და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურების სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების 226 შესყიდვა განხორციელდა, საერთო ღირებულებით 2495104 (ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი თას ას ოთხი) ლარი, მათ შორის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების საფუძვლით, სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესყიდვის მიზნით გაფორმებული იქნა 58 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 1728126,38 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დმანისის მერიის მიერ 2023 წელს განხორციელდა 31 შესყიდვა საერთო ღირებულებით 2495810 (ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას რვაას ათი) ლარი.

2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2023 წელს, საერთო ჯამში დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 14684826 ლარის შესყიდვა.

დმანისის მერიის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების 66% განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 17% გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო 17% განხორციელდა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული და ცნობად იქნას მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი- 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების გეგმის ანგარიში.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება, დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულება, რომლის მიზანია შექმნას მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის შევსების, ორგანიზებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლები. ვებგვერდის დანიშნულებაა მუნიციპალიტეტის სოციალურ - ეკონომიური, კულტურული, საზოგადოებრივ - პოლიტიკური მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარების თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის. აგრეთვე, უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოების მუდმივი კავშირი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან, საშუალება მისცეს მოსახლეობას და იურიდიულ პირებს შეუფერხებლად მიმართონ და მიაწოდონ წინადადებები მუნიციპალიტეტის ორგანოებს და თანამდებობის პირებს თვითმმართველ ერთეულში არსებული მიმდინარე პრობლემების და მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ. უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

პროექტის მიხედვით, ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური და აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებების; მასობრივი საინფორმაციო საშუალებების და ინტერნეტრესურსების; საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებას ამ დებულებით დადგენილი გადაცემისა და განახლების პერიოდულობის შესაბამისად.

ვებგვერდის საშუალებით შესაძლებელია ელექტრონული პეტიციის წარდგენა.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ან შემოსავლებზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების და სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების განსაზღვრის და გადახდის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების შესახებ

წარმოდგენილი პროექტით, მტკიცდება დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი. კერძოდ, N1 ავტობუსი იმოდრავებს - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელი გომარეთიდან ქ. თბილისი (ორთაჭალის ავტოსადგური) და პირიქით. N2 ავტობუსი ქ. დმანისი - ქ. თბილისი (ორთაჭალის ავტოსადგური) და პირიქით.

სამგზავრო ტარიფი განისაზღვრება 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

უფასო მგზავრობის უფლება მიეცემა:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს;

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები.

მგზავრობის საფასურის მოკრებას ახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეული შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტი, რომელიც გადახდის სისტემის მოწყობის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფს მგზავრებისათვის სამგზავრო პლასტიკური ბარათების/საბანკო პლასტიკური ბარათების დამზადებასა და გაცემას.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

განკარგულების ამოქმედება პოზიტიურ გავლენას მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებზე, სამგზავრო ტარიფის განსაზღვრიდან გამომდინარე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

განკარგულების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

განკარგულების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

5. მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, საჭიროა საკრებულოს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის, გასცეს აუქციონის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი:

დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი ფასი (ლარში)	საგარანტიო თანხა 20%	ბიჯი	შენიშვნა
არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ქვემო კარაბულახი	82.07.43.293	1535	768	154	31	

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას და მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, უძრავი ქონების აუქციონის ფორმით გაცემითაობაზე .

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 აგვისტოს Nგ-109.109222132 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად საჭიროა მიეცეს საკრებულოს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა N56-ში მდებარე შენობის (ს/კ 82.01.46.081) პირველ სართულზე არსებული 197,57 კვ.მ ფართი, დარბაზი 394,31 კვ.მ ფართი, მე-2 სართულზე მდებარე 220,8 კვ.მ ფართი, სარდაფი 60 კვ.მ ფართი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 134,5 კვ.მ, N4 შენობა-ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი 44,14 კვ.მ და წმინდა ნინოს ქ. N58-ში მდებარე 303 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 82.01.46.786) სსიპ ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის დმანისის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს მისი არსებობის ვადით.“.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას და მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად ფართის უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

7.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად- საჭიროა გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში გორგასლის ქუჩაზე მდებარე 1196.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: N82.01.43.007 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, მისი შემდგომში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას და საკრებულოს თანხმობის საფუძველზე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ უძრავი ქონება .

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

8.მომხსენებელი: თინათინ ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურაში არსებულ კანცელარიაში, საჭიროა არსებობდეს კადრი, რომელიც გაადვილებს მოქალაქეებთან (აზერბაიჯანელი) ეფექტურ კომუნიკაციას, დახმარებას გაუწევს და მოემსახურება მათ, ამიტომ საჭიროა შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულების პირველი პუნქტით შეთანხმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობაში და დაემატოს რიგით მეცამეტე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - სპეციალისტი საინფორმაციო მომსახურებისა და საქმისწარმოების საკითხებში.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული და შეთანხმებული იქნას საკრებულოს მიერ, განკარგულების პროექტით წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

9.მომხსენებელი: თინათინ ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 -2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის № გ-109. 109240254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, 2024-2025 წლების გენდერული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებთან დაკავშირებით საჭიროა შევიდეს ცვლილება სამოქმედო გეგმაში და გაიზარდოს საკრებულოს საქმიანობის ზედამხედველობა გენდერულ თანასწორობის კუთხით, მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტები განსაზღვრული იქნას გენდერული ასპექტის გათვალისწინებით, ასევე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობა გენდერული თანასწორობის კუთხით.

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი:



პაატა ყულიაშვილი

ლომა გადრანი